ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 183

"8" ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიასა (მთავრობა) და შპს „ლოჯიკ გრუპს" შორის 2007 წლის 8 მაისს გაფორმებული„შპს „სპორტის სასახლის" ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100% წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე" ხელშეკრულებით (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის შეცვლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127[2]-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 18 მაისის №19.16.435 განკარგულების შესაბამისად შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიასა (მთავრობა) და შპს „ლოჯიკ გრუპს" შორის 2007 წლის 8 მაისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის N2450/1) და ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის 3.1.4 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.4 განახორციელოს არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია, ამასთან, არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს 2007 წლის 1 სექტემბრამდე, ხოლო ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი - არაუმეტეს 2017 წლის 1 სექტემბრამდე", იმ პირობით,რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით, შპს „ლოჯიკ გრუპი" (ს/კ №205201191) განახორციელებს სპორტის სასახლის გარე ტერიტორიაზე ავტოსადგომის მოწესრიგებას და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 18 მაისის №19.16.435 განკარგულების დანართით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

გეგმა-გრაფიკი

N		სპორტის სასახლეში ინვესტიციის დასასრულებელი ნაწილი	ჯამში: 2 390 000 აშშ დოლარი	
1		ივლისი 2016 წელი	200 000 აშშ დოლარი	
	ა	ავტო სადგომის მოწესრიგება, ბეტონის ბარიერების შეცვლა		
	ბ	ნაგებობის გარე ფასადის მოსაწესრიგებელი სამუშაოები		
2		აგვისტო 2016 წელი	450 000 აშშ დოლარი	
	ა	სასახლის ადაპტირება შშმ პირთათვის		
	ბ	მეტროს ჩასასვლელის რემონტი		
	გ	მე-3 სართულის რემონტი		
	დ	სანტექნიკური სამუშაოები		
	ე	საპირფარეშოების დამატება		
	ვ	გაგრილების სისტემის გაძლიერება		
3		სექტემბერი 2016	250 000 აშშ დოლარი	
	ა	პერიმეტრის გამწვანება და კეთილოწყობა		
4		ნოემბერი 2016 წელი	540 000 აშშ დოლარი	
	ა	ინტერიერის მოდერნიზაცია		

	გ	კარ-ფანჯრის მოწესრიგება		
	გ	დარბაზის მოწესრიგება		
	დ	სამღებრო სამუშაოები		
5		იანვარი 2017 წელი	450 000 აშშ დოლარი	
	ა	ელექტროსისტემის განახლება		
	ბ	იატაკის განახლება, შეცვლა, რესტავრაცია		
	გ	სპეციფიკური ინვენტარის განახლება (ტაბლო და ა.შ)		
6		სექტემბერი 2017	500 000 აშშ დოლარი	
	ა	შახტების გამაგრებითი სამუშოები და სხვ.		
	ბ	ასფალტის საფარის მოწესრიგება		
	გ	საერთო მოსაწესრიგებელი/გამაგრებითი სამუშაოები		